თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 12

ქ. თერჯოლა 31 ოქტომბერი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. მანუჩარ ფანჩულიძე, 6. ფრიდონ გვენეტაძე, 7. ნინო მახათაძე, 8. რამინი რობაქიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. კობა კირკიტაძე, 3. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282329874, 25.10.2023 წ.).

   მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28232841 , 11.10.2023).

   მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282329259 , 19.10.2023).

   მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

4. ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282329260, 19.10.2023 წ.).

   მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 250.0 ათასი ლარით და შეადგენს 31122.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 300.0 ათასი ლარით. რენტა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. ჯარიმები, სანქციები და საურავვები გაიზარდა 100.0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივები გაიზარდა 180.0 ათასი ლარით.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 50.0 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 300.0 ათასი ლარით. მერიის დაფინასება გაიზარდა 7.0 ათასი ლარით. სოფლის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 190.0 ათასი ლარით. სპორტული ღონიძიებები გაიზარდა 5.0 ათასი ლარით. კულტურის ცენტირს დაფინანსება გაიზარდა 8.0 ათასი ლარით. სოციალური დაცვა გაიზარდა 70.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 50.0 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია). გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი.

აზრი გამოთქვეს: გრიგოლ გიორგაძემ, მანუჩარ ფანჩულიძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 140,0 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 30749.5 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 140.0 ათასი ლარით (გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 140.0 ათასი ლარით. კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა 140.0 ათასი ლარით, რომლითაც დაფინანსდება იანვარში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია -ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 122.8 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 30872.3 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 57.4 ათასი ლარით (გრანტი).
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 180.3 ათასი ლარით (გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 57.4 ათასი ლარით.
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯის დაფინანსება შემცირდა 53.1 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).
საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 4.3 ათასი ლარით (სახელშეკრულებო ეკონომია).
კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა 180.3 ათასი ლარით, რომლითაც დაფინანსდება ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშვილმა,.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას საკითხი,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუტქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე
თემურ ქოჩიაშვილი